

ტრანსატლანტიკური ურთიერთობები: ცუდიდან უარესისკენ. რა გველის მომავალში?

დევიდ კრაშერი

დევიდ კრამერი აშშ სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე, “ფრიდომ ჰაუსის” ყოფილი პრეზიდენტი, ფლორიდის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტივენ გრინის საერთაშორისო და საჯარო პოლიტიკის სკოლის ევროპისა და ევრაზიის მიმართულების ხელმძღვანელი, ვაცლავ ჰაველის ადამიანის უფლებების პროგრამის უფროსი მკვლევარი და „ამერიკული ინტერესის“ ავტორია.

B | S | T The Black Sea Trust
for Regional Cooperation
A PROJECT OF THE GERMAN MARSHALL FUND

E P R C
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

პუბლიკაცია დაფინანსებულია Black Sea Trust - German Marshall Fund of the United States მიერ. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს Black Sea Trust-ის ან მისი პარტნიორების პოზიციას.

© ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

ერთი თვის განმავლობაში სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო ევროპაში ორჯერ ჩავიდა. პირველი ვიზიტისას ის დიდ ბრიტანეთსა და დანიას ეწვია, მეორე ჯერზე ის ჩეხეთში, ავსტრიაში, სლოვენიაში და პოლონეთში ჩავიდა. ეს ქვეყნები, ავსტრიის გარდა, ნატო-ს მნიშვნელოვანი წევრები და შეერთებული შტატები მოკავშირეები არიან. ძნელი მოსაძებნია ბრიტანელებსა და ამერიკელებს შორის არსებული ახლო ურთიერთობების მაგალითები.

მიუხედავად ამ ინტენსიური გადაადგილებისა, პომპეოს ვიზიტების ნუსხაში ვერ აღმოაჩინეთ გერმანიას. პრეზიდენტ ტრამპის მიერ გერმანიაში დისლოცირებული ამერიკული სამხედრო კონტინგენტის 12000 ჯარისკაცით შემცირების შემდეგ ბერლინში ამ გადაწყვეტილების ასახსნელად და ნეგატიური რეაქციის გასანელებლად არცერთი ამერიკელი მაღალი თანამდებობის პირი არ ჩასულა. მართალია ტრამპის პოლიტიკით უკმაყოფილო გერმანიის მოსახლეობის ნაწილს ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ არაფერი აქვს, ოფიციალური ბერლინი ძალების გაყვანას გერმანიის, ნატო-ს და შეერთებული შტატების ინტერესების საზიანოდ თვლის. ეს მართლაც ასეა.

წარუმატებლად დასრულდა თავდაცვის მდივნის, მარკ ესპერის, მცდელობა ამ გადაწყვეტილებით გამოწვეული ნეგატიური რეაქციები პოლონეთში და ბალტიის ქვეყნებში ამერიკული ძალების გაზრდის გეგმებზე საუბრით გაენელებინა. ტრამპმა პირდაპირ განაცხადა, რომ ეს გადაწყვეტილება გერმანიის მიერ თავდაცვის ხარჯების ქრონიკული სიმცირის და ბერლინის მიერ რუსეთთან ერთად გამსაღდენის მშენებლობის საპასუხოდ მიიღო. ტრამპის ვიწრო ხედვაში ამერიკული ძალების გერმანიაში დატოვებით შეერთებული შტატები ამ ქვეყნის თავდაცვის ხარჯს სწევენ მაშინ, როცა ბერლინი ფულს რუსეთთან ურთიერთობის გაღრმავებაზე ხარჯავს.

ამერიკის კონგრესმა სანქციები დაუწესა იმ კომპანიებს, რომლებიც „ჩრდილოეთის ნაკადი II-ის“ გამსაღდენის შექმნაზე მუშაობენ. მისი დასრულების შემდეგ რუსეთი შეძლებს თავიდან აირიდოს ბუნებრივი აირის ექსპორტი უკრაინის გავლით განახორციელოს. ამგვარად მოსკოვი 2 მილიარდი აშშ დოლარის სატრანზიტო ხარჯს დაზოგავს. „ჩრდილოეთის ნაკადი II“-ის ხსენებამდე ისიც უნდა ვთქვათ, რომ გერმანია არც დამთავრებული, თუმცა ჯერ კიდევ ნახევრად დატვირთულ „ჩრდილოეთის ნაკადი I“-ის პროექტში უნდა ჩართულიყო, მაგრამ სანქციებმა შესამჩნევი დაღი დაასვა ვაშინგტონსა და ბერლინს შორის უკვე გართულებულ ურთიერთობას. მოკავშირე სახელმწიფოზე სანქციების დაწესებით უკმაყოფილო პროექტის გერმანელი მოწინააღმდეგეებიც კი არიან.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაში პრობლემებს უფრო ღრმა მიზეზები აქვს. როგორც ჩანს, ტრამპს გერმანიის კანცლერის, ანგელა მერკელის, მიმართ პირადი ანტიპათიაც გააჩნია. ეს მის სხვა ძლიერ ქალებთან ურთიერთობაში გამოვლენილ უარყოფით დამოკიდებულებას ჰგავს. ტრამპს გააბრაზა მერკელის უარმა პუტინი „დიდი შვიდეულის“ შემდეგ სამიტს დასწრებოდა, რომლისთვისაც წელს შეერთებულ შტატებს უნდა ემასპინძლა. ამასობაში, შეხვედრა კორონავირუსის გამო განუსაზღვრელი დროით გადაიდო. ტრამპის პირადმა დამოკიდებულებამ მეორეხარისხოვნად აქცია ის მნიშვნელობა, რომელიც გერმანიაში ძლიერი ამერიკული კონტინგენტის ყოფნას აქვს. გარდა ამისა, ეს დამოკიდებულება გერმანიაში და ევროპის სხვა ქვეყნებში შეერთებული შტატების პრეზიდენტისადმი ნეგატიურ განწყობას კიდევ უფრო აუარესებს. საქმე არც გერმანიიდან ახლახან გამომგზავრებული შეერთებული შტატების ელჩის, რიჩარდ გრენელის, საჭარო კომუნიკაციის ნაკლებად დიპლომატიურმა სტილმა და ხისტმა მიდგომებმა გაადვილეს.

წლის დასაწყისში, გერმანიიდან ძალების გამოყვანის გადაწყვეტილების გამოცხადებამდე „პიუს კვლევითი ცენტრის“¹ მიერ ჩატარებულმა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ ტრამპს საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებში გერმანელთა მხოლოდ 13% ენდობოდა. მსგავსი მონაცემები გამოიკვეთა კონტინენტის სხვა ქვეყნებშიც: შვედეთში-18%, საფრანგეთში -20%, ესპანეთში კი 21%. ტრამპისადმი ნდობა უმრავლესობამ, 51%-მა, მხოლოდ პოლონეთში გამოხატა.

ტრამპის ადმინისტრაციის მიერ მიღებულმა ზოგიერთმა გადაწყვეტილებამ ევროპელთა იმედგაცრუება გამოიწვია. მათ შორის ტრანსატლანტიკურ ვაჭრობაზე გაზრდილმა ტარიფებმა, კლიმატური ცვლილებების შესახებ პარიზში მიღებული საერთაშორისო შეთანხმებიდან გამოსვლამ და ირანთან ბირთვული შეთანხმების გაუქმებამ. აღსანიშნავია, რომ გამოკითხვისას რესპონდენტებს ხუთი საერთაშორისო ლიდერის შეფასებას სთხოვდნენ: დონალდ ტრამპის, ანგელა მერკელის, ემანუელ მაკრონის, ვლადიმირ პუტინის და სი ძინპინის. ყველაზე მაღალი შედეგი, ნდობის 46%, ანგელა მერკელმა აჩვენა, დაბალი - ტრამპმა. მის მიმართ უნდობლობა 64%-მა გამოხატა. პუტინის შედეგი 57% იყო. პრეზიდენტისადმი ასეთი უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, ამერიკისადმი დადებითი განწყობა კვლავაც მაღალი იყო. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, ტრამპის პოპულარობის ზრდა ევროპულ მემარჯვენე პარტიებში. ვითარება ტრამპის ევროკავშირისადმი დამოკიდებულებამაც დაამძიმა. პრეზიდენტმა ევროკავშირის მტერი უწოდა და შეერთებული შტატების მთავარ მეტოქედ დაასახელა. ტრამპი ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკას უსამართლოდ და შეერთებული შტატებისთვის ინტერესების საზიანოდ თვლის. ამ შეხედულებებზე დაყრდნობით, ტრამპმა ევროკავშირთან სავაჭრო ტარიფები მნიშვნელოვნად გაზარდა, რითიც ტრანსატლანტიკური განხეთქილება კიდევ უფრო გააღრმავა. მართალია, შეერთებულ შტატებს ევროკავშირთან წარსულშიც ბევრი უთანხმოება ჰქონდა, თუმცა ასეთი აგრესიული დამოკიდებულება, არცერთ პრეზიდენტს გამოუხატავს. ევროპელთა მიერ ნატო-ს არასათანადო დაფინანსების კრიტიკასთან ერთად ამერიკისა და ევროპულ მოკავშირეთა ურთიერთობაზე უარყოფითად ევროპულ ინსტიტუტებზე მიტანილმა შეტევებმაც იმოქმედა. მერკელმა და სხვა ლიდერებმა შეერთებული შტატებისგან დისტანცირებაზე დაიწყეს საუბარი. ასეთი უთანხმოება მხოლოდ პუტინსა და სი ძინპინს აწყობთ.

ტრამპმა პუტინისადმი უფრო მეტი კეთილგანწყობა გამოავლინა, ვიდრე სხვა ნებისმიერი ევროპელი მოკავშირისადმი. გვერდს ვერ ავუვლით, რომ მისმა ადმინისტრაციამ რამდენიმე მოსაწონი ნაბიჯი მართლაც გადადგა რუსეთთან ურთიერთობაში: მიენჭოდა მძიმე შეიარაღება უკრაინას, გაძლიერდა ამერიკული სამხედრო შენაერთები პოლონეთსა და ბალტიის ქვეყნებში, გრძელდება სანქციები და ენერგომატარებლების მიწოდება ევროპული ქვეყნებისთვის. თუმცა, ტრამპი თავადვე ამცირებს და ასუსტებს ამ გადაწყვეტილებების დადებით შედეგებს. განსხვავება იკვეთება ტრამპის დამოკიდებულებას ევროპელებსა და პუტინისადმი. მისგან პუტინის კრიტიკას ვერასდროს გაიგებთ, იქნება ეს არჩევნებში ჩარევის თუ ავღანეთში ამერიკულ ჯარისკაცებზე თავდასხმისთვის თალიბებისთვის დანესებულ ჭილდოებზე. ტრამპი შეიძლება ამტკიცებდეს, რომ მისი ადმინისტრაციის რუსეთისადმი დამოკიდებულება მის წინამორბედებზე მკაცრია, მაგრამ ამ განცხადებას მისი პუტინისადმი პირადი დამოკიდებულება უკარგავს აზრს.

პრობლემები ტრამპამდეც იყო, თუმცა ახლა ისინი უფრო მწვავეა

2003 წელს პრეზიდენტ ბუშის მიერ ერაყში სამხედრო ინტერვენციის გადაწყვეტამ შეერთებულ შტატებსა და ევროპულ მოკავშირეებს შორის განხეთქილების მიზეზად იქცა. გერმანია და საფრანგეთი გადაწყვეტილებას საჭაროდ დაუპირისპირდნენ. ბუშს ძალისხმევა არ დაუშურებია ამ ქვეყნებთან და ზოგადად ევროპასთან ურთიერთობების გაუმჯობესებისთვის, თუმცა 2009 წლის იანვარში მისი საპრეზიდენტო ვადის დასასრული ევროპელებისთვის შვების მომგვრელი იყო. ევროპაში ბევრი იყვნენ ისინი, ვისთვისაც ის თავგებულადებული კოვბოი იყო. ბარაკ ობამას გამარჯვებით გამონგვეული ენთუზიამის წინ რამდენიმე მძიმე გამოცდა მალევე ელოდა. პირველი, რუსეთთან „გადატვირთვის“ პოლიტიკა იყო. განსაკუთრებული უკმაყოფილება ამ ინიციატივამ აღმოსავლეთ ევროპაში გამოიწვია. საქმე ღია წერილის გამოქვეყნებამდე მივიდა, რომელშიც აღმოსავლეთ ევროპელი ლიდერები ობამას მისი ინიციატივებით გამონგვეულ საფრთხეებზე აფრთხილებდნენ. პოლონეთსა და ჩეხეთში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განლაგებაზე მისი წინამორბედის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება ობამას ადმინისტრაციამ

¹ <https://www.pewresearch.org/global/2020/01/08/trump-ratings-remain-low-around-globe-while-views-of-u-s-stay-mostly-favorable/>

2009 წელსვე, საბჭოთა კავშირის მიერ პოლონეთის დაპყრობის დღეს გამოაცხადა. ობამას მოსკოვის სასარგებლოდ ცალმხრივად გადადგმულმა ნაბიჯებმა გააჩინა განცდა, რომ ვაშინგტონის მზად იყო ევროპის ნაწილი რუსეთისთვის დაეთმო. არ უნდა გამოგვრჩეს 2011 წლის ცნობილი „შეტრიალება“ ამისკენ, რომელსაც შემდგომში „განონასწორება“ უწოდეს, თუმცა უკვე გვიან იყო - ევროპელებისთვის ეს მათთვის ბურჯის შექცევის მანიშნებელი იყო.

ობამასა და ბუშის დროს ტრანსატლანტიკური კავშირები იდეალური მდგომარეობისგან ნამდვილად შორს იყო, მაგრამ გაცილებით გაუარესდა ტრამპის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ. მძიმე ვითარებაა ევროკავშირთან ურთიერთობებშიც, ტრამპის მულტილატერალური ორგანიზაციებისადმი მიკერძოებული დამოკიდებულება საქვეყნოდაა ცნობილი. ეჭვქვეშ დადგა შეერთებული შტატების ნატო-ს წევრი მოკავშირეებისთვის სამხედრო დახმარების განევის მზაობაც. „ფოქს ნიუსისადმი“ 2018 წელს მიცემულ ინტერვიუში ტრამპმა ნატო-ს ახალი წევრის, მონტენეგროს, სამხედრო დახმარების საკითხი საჭაროდ ეჭვქვეშ დააყენა.

უნდა ვაღიაროთ, რომ პრობლემები არც თავად ევროკავშირს აკლია. 27 წევრ-ქვეყანას შორის შეთანხმების მიღწევა თითქმის შეუძლებელია. როგორც დალიბორ როჰანი ალწერს:

„შეერთებული შტატებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებშიც ევროკავშირს დიდი როლის თამაში შეუძლია, საქმეს ევროკავშირის წევრთა შორის ამრთა სხვადასხვაობა ართულებს. ამ შეთანხმებების მიზეზი არც ტრამპია და არც ამერიკა.“

ეს გაერთიანებას ქათმისა და კვერცხის დილემის წინაშეა. ერთი მხრივ, ევროკავშირი მსოფლიოსა და განსაკუთრებით შეერთებულ შტატებს, მისი ინტერესების გათვალისწინებას სთხოვს. მეორე მხრივ, ასეთი აღიარებისთვის დიდს ვერაფერს აკეთებს.“²

ამჟამად საარჩევნო რეიტინგები საპირისპიროს მეტყველებს, თუმცა თუ ტრამპი არჩევნებში ხელმეორედ გაიმარჯვებს, მან შესაძლოა შეერთებული შტატების ნატო-დან გამოსვლის საკითხი დააყენოს. კანონიერი გზებით ამ მიზნის მიუღწევლობის შემთხვევაში, ტრამპმა ალიანსის დასრულების ალტერნატიული გზების გამოიხატა არ გამოირცხა. რუსეთის მეზობელი ნატო-ს წევრი ქვეყნებისთვის ეს განგაშის ბარის ტოლფასი იქნება, მოსკოვში კი ნამდვილად საზეიმო ექნებათ. ევროპის კონტინენტზე 70 წლის განმავლობაში შენარჩუნებული მშვიდობის ფონზე ასეთი შესაძლებლობის განხილვაც კი მტკიცებელი იქნება. ნატო-ს პირველი გენერალური მდივნის, ლორდ ჰასტინგზ ლაიონელ ისმის სიტყვებით რომ ვთქვათ, „საბჭოთა კავშირის გარეთ, შეერთებული შტატების შიგნით, ხოლო გერმანიის დაბლა“ შენარჩუნებისთვის შექმნილი ალიანსიდან შეერთებული შტატების გამოსვლა მისი დასასრულის ტოლფასი იქნება. დაირღვევა ტრანსატლანტიკური ურთიერთობები, ხელ-ფეხი გაეხსნება პუტინს და საფრთხეში როგორც ნატო-ს წევრი, ისე არა წევრი ქვეყნები ჩავარდებიან. ტრამპი გააგრძელებს ევროკავშირის დაკნინებას, ის ურთიერთობების გაღრმავებას ცალკეულ ქვეყნებთან, პოლონეთთან, უნგრეთთან, დიდ ბრიტანეთთან, ინდივიდუალურად შეეცდება. ევროკავშირს პრობლემები ამერიკის პრეზიდენტის გარეშეც საკმარისზე მეტი აქვს.

არჩევნების სხვაგვარად დასრულების ანუ ჯო ბაიდენის გამარჯვების შემთხვევაში, რასაც გამოკითხვები წინასწარმეტყველებენ, მისი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი მსოფლიოში, განსაკუთრებით კი ევროპაში, ამერიკის რეპუტაციის აღდგენა უნდა იყოს. მან უნდა გააუმჯობესოს ურთიერთობები საკვანძო მნიშვნელობის ევროპელ მოკავშირეებთან, დაადასტუროს შეერთებული შტატების ერთგულება ნატო-ს მიმართ და მე-5 მუხლის შესრულების მზაობა. ბაიდენის გამარჯვების შემთხვევაში შეიცვლება პუტინთან საუბრის ტონი და გაიზრდება ვაშინგტონის მხარდაჭერა რუსეთის მეზობელი სახელმწიფოების, მათ შორის ნატო-ს არაწევრი ქვეყნების მიმართ. ბაიდენი გააძლიერებს კავშირს ევროკავშირთანაც, გამკაცრდება შეერთებული შტატების პოზიცია იმ ევროპული ქვეყნებისადმი, რომლებიც ავტორიტარიზმის სულ უფრო ძლიერ ნიშნებს ავლენენ. ის გამოაცოცხლებს ტრანსატლანტიკურ კავშირებს, დაასრულებს სავაჭრო ომებს და დამსახურებული პატივისცემით მოეპყრობა ამერიკის ევროპელ პარტნიორებსა და მოკავშირეებს.

ახლად არჩეულ ბაიდენსა და ხელმეორედ არჩეულ ტრამპს შორის განსხვავება მნიშვნელოვანი იქნება, ეს დიდ გავლენას მოახდენს ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებზე. ასეთივე გავლენა ექნება საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს საქართველოზე და რეგიონის სხვა ქვეყნებზე.

² <https://www.the-american-interest.com/2020/05/12/why-transatlantic-relations-are-in-trouble/>

რას ნიშნავს ეს საქართველოსა და რეგიონისთვის?

ბელარუსში შექმნილი ვითარება შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებას ვერ დაელოდება. ქვეყნის უცვლელი მმართველის, ალექსანდრე ლუკაშენკოს მიერ 9 აგვისტოს გამართული საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გაყალბებისა და ამით გამოწვეული მშვიდობიანი საპროტესტო აქციების დარბევის შემდეგ ბელარუსი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ყველაზე მძიმე კრიზისშია. ათასობით დემონსტრანტის დაპატიმრებამ და დაკავებულთა წამებამ შედეგი ვერ გამოიღო - საპროტესტო ტალღა არ განელეებულა.

დასავლეთის რეაქცია არაერთგვაროვანია, თუმცა ერთი პირობა ახლავს უნდა იყოს დაყენებული: ლუკაშენკოს მიერ ძალაუფლების შენარჩუნება ან ახალ არჩევნებში მონაწილეობა უნდა გამოირიცხოს. მისმა 26 წლიანმა მმართველობამ გააღარბა ბელორუსის მოსახლეობა, დაუცველები დატოვა ისინი კორონავირუსის პანდემიის წინაშე, დასავლეთისგან იზოლაციით კი ქვეყანა მოსკოვის ნება-სურვილზე დამოკიდებული გახდა. ბელორუსებისთვის ეს საკმარისი აღმოჩნდა. გართულებული ტრანსატლანტიკური ურთიერთობების პირობებში შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირს შორის კოორდინაცია პრობლემატური აღმოჩნდა.

შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა უნდა დაუყოვნებლივ მოითხოვონ ყველა დაკავებულის გათავისუფლება, ლუკაშენკოსა და მისი მთავრობის წევრებს კი სანქციები უნდა დაუწესდეს - არჩევნების გაყალბებას, საპროტესტო აქციებზე გამოსულ მოქალაქეთა ცემასა და უკანანოდ დაპატიმრებას შედეგები უნდა მოყვებოდეს. 2006 და 2010 წლებში დაკისრებული სანქციები შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა 2016 წელს მოხსნეს, როცა დასავლეთი ლუკაშენკოსთან მეგობრული ურთიერთობების აღდგენას ჯერ კიდევ შესაძლებლად აფასებდა. 2020 წელს მინსკს მაიკ პომპეო ეწვია, ეს ამერიკის მაღალი რანგის წარმომადგენლის პირველი ვიზიტი იყო ბოლო ათწლეულების განმავლობაში. ევროპელი და ამერიკელი პოლიტიკოსები უნდა შეთანხმდნენ, რომ მინსკთან “ნორმალური” ურთიერთობა შეუძლებელია, სანამ ძალაუფლება ლუკაშენკოს ხელში იქნება. ის დასავლეთისა და რუსეთის დაპირისპირებით სარგებლობის დიდოსტატი.

დასავლეთის ლიდერებმა, როგორც საჯაროდ, ისე პირად საუბარში, უნდა გააფრთხილონ პუტინი, რომ ბელორუსში რუსეთის ძალების ფარული ან ღია შეჭრის მცდელობას კრემლისთვის მძიმე შედეგები მოყვება, მათ შორის უკრაინაზე თავდასხმის გამო დაკისრებული სანქციების გამკაცრება.

ვაშინგტონმა და ბრიუსელმა დახმარება უნდა გაუწიონ ბელორუსის სამოქალაქო საზოგადოებას, ჰუმანიტარული დახმარება უნდა აღმოეჩინოს ფიზიკურად დაზარალებულებს, უკანონოდ დაკავებულებს და მათ, ვისაც ქვეყნის დატოვება მოუწია. საჭიროა ბელარუსში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაციის თავისუფალი გავრცელების უზრუნველყოფა, ადგილზე მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობის ხელშეწყობა.

იმას, რაც ბელარუსში ხდება გავლენა რეგიონის სხვა ქვეყნებზეც ექნება. ეს განსაკუთრებით მოსამდგრე ქვეყნებს, მათ შორის უკრაინას ეხება, თუმცა მინსკში მიმდინარე პროცესების შედეგები არც შედარებით მოშორებით მდებარე საქართველოს და აზერბაიჯანსაც შეეხება. ბელარუსი ხალხის გამარჯვების და ლუკაშენკოს ერთპიროვნული მმართველობის დასრულების შემთხვევაში წარმოიშვება რეგიონული და გლობალური მნიშვნელობის პრეცედენტი. მამა-შვილი ალიევი აზერბაიჯანის სათავეში დაახლოებით იგივე დროის განმავლობაში არიან, რაც ლუკაშენკოა ბელარუსში. მსგავსია რეჟიმის კრიტიკოსთა, ჟურნალისტთა და ოპოზიციონერთა მიმართ მიდგომაც. სომხეთთან კონფლიქტში ჩართული ალიევი ბელარუსში მიმდინარე პროცესებს ყურადღებით უნდა აკვირდებოდეს, აზერბაიჯანელი ხალხისთვის იქ მიმდინარე პროცესები იმედის მომცემი უნდა იყოს.

ძნელად მოიძებნება ქვეყანა, რომელსაც ტრამპი უკრაინაზე უსამართლოდ მოექცა. იმპიჩმენტის პროცესის განმავლობაში ის უკრაინის ახლად არჩეული პრეზიდენტის ამერიკის შიდა პოლიტიკაში ჩათრევას ცდილობდა. უკრაინელ ამომრჩეველთა 73%-ის მხარდაჭერით არჩეული ვოლოდიმირ ზელენსკის ხელშეწყობის ნაცვლად მან ახალგაზრდა ლიდერის საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება სცადა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ობამასგან განსხვავებით, ტრამპმა უკრაინელებს სამხედრო დახმარებაზე უარი არ

უთხრა. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო, თუმცა ბაიდენის უკრაინული საქმეების გამოსაძიებლად ზელენსკიზე განხორციელებულმა ზეწოლამ დაჩრდილა. ნოემბერში ტრამპის დამარცხება ზელენსკის ვაშინგტონთან ურთიერთობის გადატვირთვის საშუალებას მისცემს. ახალი პრეზიდენტი უკრაინის პოლიტიკაში გარკვეული და კიევის მხარდამჭერი იქნება.

საქართველოსთან ტრამპის ადმინისტრაციის ურთიერთობა დადებითი სტარტით, 2017 წლის ზაფხულში თბილისში ვიცე-პრეზიდენტ მაიკ პენსის ვიზიტით დაიწყო. ეს მაღალი დონის პირველი და უკანასკნელი ვიზიტი იყო. მაიკ პომპეო პერიოდულად ხვდება მის ქართველ კოლეგებს, ხოლო პრემიერ-მინისტრთან სატელეფონო კავშირი აქვს. 2018 წელს იან კელის წამოსვლის შემდეგ შეერთებულ შტატებს საქართველოში ელჩი ორი წლის განმავლობაში არ ჰყავდათ. ახლახან დანიშნულმა კელი დეგნანი ენერჯიულად შედგა საკუთარი ფუნქციების შესრულებას, თუმცა ვაშინგტონის ყურადღება არც მას ანყენდა. რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით, შეერთებულ შტატებს ყველა მეტი გავლენა და პასუხისმგებლობა სწორედ საქართველოში აქვთ. ამ გავლენის გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ოქტომბერში გასამართი საპარლამენტო არჩევნების კონტექსტში იქნება.

